

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის რეპორტი

შპს სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის



ს ა რ ზ ე ვ ი

კომპილაციის რეპორტი	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ინფორმაცია კომპანიის შესახებ	9
2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	9
3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
4. ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება	19
5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	20
6. სავაჭრო მოთხოვნები	20
7. ფული და ფულის ექვივალენტები	20
8. კაპიტალი	21
9. სავაჭრო ვალდებულებები	21
10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	21
11. ამონაგები	21
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
13. ფინანსური ხარჯი	22
14. საიჯარო აქტივებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები	22
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22

კომპილაციის რეპორტი

შპს სიქა სიქურითი სოლუმენს ჯორჯიას მენეჯმენტს

ჩვენ განვახორციელეთ შპს “სიქა სიქურითი სოლუმენს ჯორჯიას” (“კომპანია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

ჩვენ გამოვიყენეთ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა და ჩვენი პრაქტიკული გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში ფასს სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ დავიცავით შესაბამისი ეთიკური ნორმები.

ამ ფინანსური ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მმართველი პარტნიორი

პაატა გაბიძაშვილი

2022 წლის 27 სექტემბერი

კომპილაციის რეპორტი

შპს სიკა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯიას მენეჯმენტს

ჩვენ განვახორციელეთ შპს "სიკა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯიას" ("კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.


ჩვენ გამოვიყენეთ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა და ჩვენი პრაქტიკული გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში ფასს სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ დავიცავით შესაბამისი ეთიკური ნორმები.

ამ ფინანსური ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მმართველი პარტნიორი

პაატა გაბიძაშვილი



2022 წლის 27 სექტემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2021 წ. 31 დეკემბერი	2020 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	4	924,605	115,327
აქტივების გამოყენების უფლება		3,344,713	310,379
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,269,317	425,706
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	2,076,281	3,964,078
სავაჭრო მოთხოვნები	6	43,994	111,409
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		461,264	276,456
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	2,090,960	1,499,994
სულ მიმდინარე აქტივები		4,672,499	5,851,937
სულ აქტივები		8,941,817	6,277,643
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	28,169,924	28,169,924
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(35,548,449)	(36,501,014)
სულ საკუთარი კაპიტალი		(7,378,525)	(8,331,090)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		2,959,295	-
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		224,636	214,085
სავაჭრო ვალდებულებები	9	13,005,886	14,120,494
მიღებული ავანსები		106,041	170,934
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	24,484	103,220
სულ ვალდებულებები		16,320,342	14,608,733
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8,941,817	6,277,643

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 22 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯიქია



თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვხვდება 9-22 ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2021 წ. 31 დეკემბერი	2020 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	4	924,605	115,327
აქტივების გამოყენების უფლება		3,344,713	310,379
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,269,317	425,706
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	2,076,281	3,964,078
სავაჭრო მოთხოვნები	6	43,994	111,409
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		461,264	276,456
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	2,090,960	1,499,994
სულ მიმდინარე აქტივები		4,672,499	5,851,937
სულ აქტივები		8,941,817	6,277,643
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	28,169,924	28,169,924
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(35,548,449)	(36,501,014)
სულ საკუთარი კაპიტალი		(7,378,525)	(8,331,090)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		2,959,295	-
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		224,636	214,085
სავაჭრო ვალდებულებები	9	13,005,886	14,120,494
მიღებული ავანსები		106,041	170,934
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	24,484	103,220
სულ ვალდებულებები		16,320,342	14,608,733
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8,941,817	6,277,643

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვერდებზე 9-22 ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული პერიოდისათვის (ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	11	13,596,025	12,131,555
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(8,037,919)	(5,478,345)
მთლიანი მოგება		5,558,106	6,653,210
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(5,644,857)	(5,668,705)
სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა		1,162	6,000
საოპერაციო მოგება/ზარალი		(85,589)	984,505
ფინანსური შემოსავალი		75,803	63,052
ფინანსური ხარჯი	13	(115,210)	(21,267)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი/შემოსულობა		1,077,562	(2,920,886)
მოგება/ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		952,565	(1,894,596)
მოგების გადასახადი		0	0
წლის მოგება/ზარალი		952,565	(1,894,596)
სხვა სრული შემოსავალი		0	0
სულ წლის სრული მოგება/ზარალი		952,565	(1,894,596)

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვერდებზე 9-22 ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია.

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	28,169,924	(34,606,418)	(6,436,494)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(1,894,596)	(1,894,596)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28,169,924	(36,501,014)	(8,331,090)
წლის მთლიანი სრული მოგება		952,565	952,565
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28,169,924	(35,548,449)	(7,378,525)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის (ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(14)	2,689,502	1,241,886
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,511,405)	(7,680)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(14)	(587,131)	(297,459)
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		590,966	936,747
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		1,499,994	563,247
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		2,090,960	1,499,944

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვერდებზე 9-22 ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა და ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია (ს/კ: 404415290) რეგისტრირებულია მისამართზე საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ძველი საჯარმო ავტოსადგომის მიმდებარედ, (ნაკვეთი N25/21).

შპს სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია-ს 100 % წილის მფლობელი არის შვეიცარიის კონფედერაციაში რეგისტრირებული კომპანია „სიქპა ეს. ეი“.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2021 წელს შეადგენდა 40 თანამშრომელს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დამცავი ნიშნების (მატერიალური ფორმის მარკები) მიწოდება და ელექტრონული მარკირება საქართველოში რეგისტრირებულ აქციზურ და არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებულ საწარმოებსა და იმპორტიორებს.

გარდა ამისა, 2021 წლის ნოემბრის თვიდან, შპს „სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“-მ დაიწყო დამატებით ახალი საქმიანობის განხორციელება. რაც გულისხმობს, სპეციალური დამცავი ნიშნების (ეტიკეტების/ სტიკერების) დამზადებასა და მიწოდებას საქართველოში რეგისტრირებულ წყლისა და მინერალური წყლების მწარმოებელ კომპანიებზე, მათი პროდუქციის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ექსპორტირების მიზნით.

2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16).
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16).

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად. 2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები).
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები).

- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში).
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით. ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ხელმძღვანელობა ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე, მაგრამ წინასწარი შეფასებით არსებით გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს-IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრული წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდში მშობელი, არარეზიდენტი კომპანიის კონსოლიდაციის მიზნებისთვის ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად. სტანდარტებში შესულ ცვლილებებს, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 1-ლი იანვრიდან გავლენა არ მოუხდენია წარმოდგენილ ანგარიშგებაზე.

თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის და ოპერირებს გააგრძელებს უახლოეს საპროგნოზო მომავალში როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

კომპანიის ხელმძღვანელობა ფუნქციონირებადი საწარმოს ადეკვატურობის შეფასებისას მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- 2021 წელს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შექმნილმა შესარჩევმა კომისიამ „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესის“ შესაბამისად მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელ პირად შეარჩია პრეტენდენტი SICPA SA, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ შემოსავლების სამსახურთან დადებული ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში მატერიალური და არამატერიალური ფორმით საქონლის სავალდებულო მარკირებას მომსახურების გაწევას „სიქპა საქართველოს“ (საქართველოში დაფუძნებული შვილობილი კომპანია შპს „სიქპა სიქურითი სოლუშენს ჯორჯია“) მეშვეობით.
- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აღემატებოდა მიმდინარე აქტივებს 8,688,547 ლარით და ამ დროისთვის კომპანიას ჰქონდა 35,548,449 ლარი აკუმულირებული ზარალი. მიმდინარე ვალდებულებები (13,361,047 ლარი) ძირითადად

შეადგენს სავაჭრო ვალდებულებებს დამფუძნებელი კომპანიის მიმართ, რომელზეც დამფუძნებელ კომპანიას არ აქვს ხელშეკრულებით განსაზღვრული სანქცია სავაჭრო ვალდებულების დაფარვის ვადა გადაცილებასთან დაკავშირებით და გადახდა ხორციელდება ყოველ კონკრეტულ პერიოდში კომპანიის მიერ აკუმულირებული ფულადი სახსრების შესაძლებლობის ფარგლებში.

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წელს კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკვირდებოდა COVID-19-ის პანდემიით და რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეულ ბაზრის მერყეობას და მათი შეფასებით კომპანია მომავალში შეძლებს გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.
- მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიმდინარე (სავაჭრო) ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში (შვეიცარულ ფრანკში), ლარის გაუფასურების ეფექტი უცხოურ ვალუტაში გასაწევი ხარჯების მუხლებზე (თვითღირებულება, სათადარიგო ნაწილები) არ იქნება მნიშვნელოვანი, ვინაიდან კომპანიის შემოსავლების ძირითადი ნაწილი დენომინირებულია ასევე უცხოურ ვალუტაში (ევრო და აშშ დოლარი).

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ანგარიშგების მომზადების ეტაპზე არ არსებობს გარემოება, რაც ხელს შეუშლის კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ლარში ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ლარში SICPA ჯგუფის ფასს-ების შესაბამისად შემუშავებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით, მოცემული თარიღისთვის არსებული SICPA ჯგუფის მიერ მოწოდებული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ყოველი თვის 28 რიცხვისთვის) არსებული სპოტ სავალუტო კურსების მიხედვით (წყარო thefinancials.com):

- შვეიცარული ფრანკი უცხოური ვალუტის მიმართ
- უცხოური ვალუტა შვეიცარული ფრანკის მიმართ
- კროს კურსი

კურსები დამრგვალებულია მძიმის შედეგ 6 ციფრამდე.

ანგარიშგების თარიღისთვის უცხოური ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლების გადაფასებისთვის SICPA ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ გამოყენებულია უცხოური ვალუტების სპოტ გაცვლითი კურსები.

ვალუტის კოდი	ვალუტის დასახელება	ლარის გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტების მიმართ-31.12.2021	ლარის გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტების მიმართ-31.12.2020
EUR	ევრო	3.482615	4.016727
CHF	შვეიცარული ფრანკი	3.366324	3.707151
USD	აშშ დოლარი	3.074800	3.266000

ფულადი მუხლების გადაფასების შედეგად მიღებული საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვება.

არაფულადი მუხლები წარდგენილია ისტორიული ღირებულებით ლარში, გადაყვანილი ოპერაციის განხორციელების დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით და მას გადაფასება არ ეხება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მცირე ფასიანი ნივთები (2500 შვეიცარული ფრანკის ექვივალენტი ლარში), არ კაპიტალიზირდება და აღიარდება პერიოდის ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სათადარიგო ნაწილები და დამხმარე მოწყობილობა, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება ერთზე მეტი საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე მხოლოდ ძირითად საშუალებებად აღიარებულ მოწყობილობებთან დაკავშირებით და აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას ბასს 16-ის შესაბამისად, კაპიტალიზირდება/აღიარდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალკე ჯგუფად და ერიცხება ცვეთა.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის SICPA ჯგუფის მიერ განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები მოცემულია ქვემოთ, ცხრილი №1-ში. კომპანია, ძირითადი

საშუალებების კაპიტალიზაციისას იყენებს ჯგუფის საადრიცხო პოლიტიკით განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების ვადებსა და “პროდუქციის მოძრაობისა და რეგისტრაციის ინტეგრირებული სისტემის შექმნისა და ოპერირების” ხელშეკრულების მოქმედების ვადას შორის უმცირესს.

ცხრილი №1

დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადები (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10 - 15
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	10 - 20
არსებული ელექტრონული მარკირებისთვის გამოყენებული სპეციალური მოწყობილობები	კონტრაქტის პერიოდი / 5 წელი (უმცირესი)
ინფორმაციული სისტემები	5
კომპიუტერები	3
სატრანსპორტო საშუალებები	4
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	8
საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება	იჯარის ხელშეკრულების ვადა

ცხრილში მოცემული ცვეთის პერიოდები არის მაქსიმალური და არ აღემატება კონკრეტული პროექტის ვადებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჯგუფის საადრიცხო პოლიტიკით კომპანიის ძირითადი საქმიანობის განხორციელებისთვის (მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განხორციელება) გამოყენებული ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა ამოიწურა 2021 წელს „შერჩეული პირის„ ხელშეკრულებით განსაზღვრული პროექტის დასრულების ვადასთან ერთად, რის შედეგადაც, აღნიშნული ძირითადი საშუალებების ბალანსი განულდა. თუმცა, შერჩევაში გამარჯვების შემდეგ 2022 წლის 15 ნოემბრამდე გარდამავალ პერიოდში კომპანია სავალდებულო მარკირების მომსახურებას ახორციელებდა იგივე მოწყობილობებით და აღჭურვილობით.

კომპანია წელიწადში ერთხელ ახორციელებს გაუფასურების ტესტს მის ბალანსზე არსებულ ძირითად საშუალებებთან მიმართებაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიისთვის გასაყიდად გამიზნულ მარაგებს შეადგენს აქციზური და არა-აქციზური საქონლის მარკები. ასევე, კომპანია მარაგებში აღრიცხავს მანქანა-დანადგარებისთვის განკუთვნილ პრევენციული ხასიათის სათადარიგო ნაწილებსა და სახარჯ მასალას, განსხვავებით მაკორექტირებელი ხასიათის მქონე სათადარიგო ნაწილებისა, რომელიც კაპიტალიზირდება და ერიცხება ცვეთა.

ბასს 2-ის “მარაგები” მიხედვით სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თუმცა, კომპანიის მარაგების სპეციფიკურობიდან გამომდინარე ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არაა დამოკიდებული ბაზარზე და შესაბამისად კონკრეტული სახის მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით შეფასების საკითხი არ დგება.

მარაგების უმრავლესობის შესყიდვა ხდება ჯგუფის წევრი კომპანიებიდან/დაკავშირებული მხარეებიდან, რომელიც სააღრიცხვო პოლიტიკით იყენებს სტანდარტული ფასწარმოქმნის მეთოდს. შესყიდვის ფასის სხვაობა (ტრანსპორტირების და დაზღვევის ხარჯი) აღირიცხება ხარჯებში საერთო მოგებად. ყოველი წლის ბოლოს ხდება სტანდარტული ფასწარმოქმნის მეთოდის გადაანგარიშება და მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაბამის ანგარიშგებებში ასახვა.

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით რეკომენდირებულია მოძველების რისკის მქონე მარაგების პერიოდულად გადახედვა, რომ დროულად მოხდეს ვადაგასული ან დაზიანებული მარაგების ჩამოწერა.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკში არსებულ ანგარიშებზე არსებული ფულის ნაშთისაგან.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არა რეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საგადასახადო კანონმდებლობით შერჩეული პირის მიერ აქციზური მარკების მიწოდება ან/და იმპორტი, აქციზური ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების მომსახურების გაწევა და ასევე იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია აქციზური ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების განსახორციელებლად განთავისუფლებულია დღგ-გან ჩათვლის უფლების გარეშე.

2012-2020 წლებში კომპანია ყოველწიურად განცხადებით მიმართავდა საგადასახადო ორგანოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისთვის დასაბეგრი ოპერაციების მიმართ არ გამოეყენებინა ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-გან განთავისუფლება, რაც გულისხმობს, რომ დასაბეგრი ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ით დარიცხვას და მიიღება ჩათვლა.

2021 წლის 1-ლი იანვრიდან დღგ-ს კარის ცვლილების შემდეგ შერჩეულ პირს აღნიშნული უფლებით სარგებლობა შეეზღუდა. შესაბამისად მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების დასაბეგრი ოპერაციებზე არ ხდება დღგ-ს დარიცხვა და არ მიიღება ჩათვლა.

2021 წლის ნოემბრიდან დაწყებული დამატებით საქმიანობა, სპეციალური დამცავი ნიშნების (ეტიკეტების/ სტიკერების) დამზადება და მიწოდებას საქართველოში რეგისტრირებულ წყლისა და მინერალური წყლების მწარმოებელ კომპანიებზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არ არის გათავისუფლებული დღგ-გან, რაც გულისხმობს, რომ დასაბეგრი ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას და მიიღება ჩათვლა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები რეალიზაციიდან აღიარდება მისაღები ან მიღებული ანაზღაურების ღირებულებით (დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე), როდესაც კომპანია მყიდველს მიაწოდებს მატერიალური ფორმის დამცავ ნიშნებს ან/და გაუწევს აქციზური ან არა-აქციზური საქონლის ელექტრონული მარკირების მომსახურებას და მასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი გადავა მყიდველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

2019 წლის 1-ლი იანვრიდან საოპერაციო იჯარად მოცემული წლის მოგება-ზარალში კომპანიის მიერ აღირიცხება მოკლევადიანი იჯარები (12 თვიანი და ნაკლები ვადის) და მცირე ღირებულების აქტივების (ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით 5,000 შვეიცარიულ ფრანკზე ნაკლები ღირებულების მქონე აქტივის იჯარა) იჯარა წრფივი მეთოდით ფასს-16-ით გათვალისწინებული დაშვებების შესაბამისად.

გარდა მოკლევადიანი და მცირე ღირებულების აქტივების იჯარებისა, კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივებსა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებებს ყველა საიჯარო ურთიერთობების შემთხვევაში, სადაც ის წარმოადგენს მოიჯარე მხარეს.

საიჯარო ვალდებულება ფასდება მომავალ პერიოდში გადასახდელი ფულადი ნაკადების დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულებით. კომპანიის მიერ საიჯარო ვალდებულებების დისკონტირებისთვის ნაგულისხმევ საპროცენტო განაკვეთად აღებული იქნა ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივს გამოყენების უფლებით, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთის განსაზღვრად, კომპანია იყენებს საჯაროდ ხელმისაწვდომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს, რომელიც გავრცელებულია საქართველოს ბაზარზე.

საიჯარო ვალდებულებები ცალკე პუნქტად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება საიჯარო აქტივის ცვეთა და საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი, როგორც ფინანსური ხარჯი.

საიჯარო ვალდებულებებში შემავალი საიჯარო გადახდები მოიცავს:

- ფიქსირებულ საიჯარო ქირას (მათ შორის არსებითად ფიქსირებული გადასახადი), საიდანაც გამოიქვეთება ნებისმიერი საიჯარო შეღავათი;
- ცვლადი საიჯარო ქირა, რომელიც დამოკიდებულია ინდექსსა თუ განაკვეთზე, იზომება იჯარის დაწყების დღიდან დადგენილი ინდექსითა თუ განაკვეთით.
- ნარჩენი ღირებულების გარანტიის სახით მოიჯარის მიერ გადასახდელი თანხა;
- უპირატესი შესყიდვის ოფციის გამოყენების ღირებულება, თუ მოიჯარე გადაწყვეტს ამ ოფციის გამოყენებას; და
- იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მისი ვადამდე შეწყვეტის შესაძლებლობა.

კომპანიის მიერ დადებული საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტა შესაძლებელია ჯარიმის გადახდის გარეშე გარკვეული პერიოდით ადრე მეიჯარისთვის წინასწარ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. კომპანიამ შეაფასა, რომ პროექტის ხანგრძლივობის პერიოდში არ გამოიყენებდა იჯარის ვადამდე ადრე შეწყვეტის უფლებას არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე გამოყენების უფლების მქონე აქტივების იჯარის ვადები განისაზღვრა თავდაპირველი აღიარების მომენტისთვის “პროდუქციის მოძრაობისა და რეგისტრაციის ინტეგრირებული სისტემის შექმნისა და ოპერირების” ხელშეკრულების (გაფორმებული სიქპა ეს.ეი-ს, შპს სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯიასა და სსიპ შემოსავლების სამსახურს შორის) ვალიდური დასრულების თარიღით, 2020 წლის 1-ლ ნოემბრამდე. 2020 წელს “პროდუქციის მოძრაობისა და რეგისტრაციის ინტეგრირებული სისტემის შექმნისა და ოპერირების” ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა დამატებით 1 წლით. ამიტომ, კომპანიამ ფასს 16-ის შესაბამისად აღრიცხა იჯარის მოდიფიკაცია 2020 წელს.

2021 წელს „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის“ შერჩევაში გამარჯვების შემდეგ კომპანიამ ახალი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გათვალისწინებით აღრიცხა აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი დისკონტირებული საიჯარო ვალდებულება ფასს-16-ის შესაბამისად. დისკონტირებული საიჯარო ვალდებულებები დაკორექტირდა მხოლოდ წინასწარ გადახდილი საიჯარო გადასახდელებით.

როდესაც კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება აანაზღაუროს საიჯარო აქტივის გამოთავისუფლებისა და დემონტაჟის ხარჯები, აღადგინოს აქტივის განთავსების ადგილი ან ობიექტი მოიყვანოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში, ასეთი ხარჯი შეფასდება ბასს 37-ის შესაბამისად. 2020 წელს ვადაზე ადრე შეწყდა კომპანიის ერთ-ერთი საიჯარო ხელშეკრულება. ვინაიდან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კომპანიას არ ეკისრებოდა ვალდებულება გაეწია რაიმე მნიშვნელოვანი დანახარჯი საიჯარო ობიექტის საწყის მდგომარეობამდე მოყვანასთან დაკავშირებით, შესაბამისი შეფასებების გაკეთების საჭიროება არ დამდგარა.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა აისახა საოპერაციო საქმიანობის ნაწილში, ხოლო ძირითადი თანხის გადახდა ფინანსური საქმიანობის ნაწილში.

მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

მენეჯმენტის მსჯელობაზე დაფუძნებული შეფასება, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ SICPA ჯგუფის გამოცდილებას, რომლის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ აქტივების გამოყენებით მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ან ტექნიკური თუ კომერციული მოძველება, არამედ პროექტის ხელშეკრულების მოქმედების ვადებიც. შესაბამისად, წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდში, სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა 2012 წლის 3 თებერვალს გაფორმებული პროდუქციის მოძრაობისა და რეგისტრაციის ინტეგრირებული სისტემის შექმნისა და ოპერირების შესახებ ხელშეკრულების დასრულების თარიღი (1 ნოემბერი 2021).

4. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

(ლარი)	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ძირითადი საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და სისტემები	ჯამი
2020 წლის 1.იანვარი	866,056	579,144	18,222,021	570,995	424,166	20,662,382
დამატება						0
გასვლა	4000	356,202		47,000	25,732	432,933
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია		-15,036		-67,314		-82,349
2020 წლის 31 დეკემბერი	<u>870,056</u>	<u>920,310</u>	<u>18,222,021</u>	<u>550,681</u>	<u>449,898</u>	<u>21,012,966</u>
დამატება	24,112	355,697	156,425			-
გასვლა				-31,300		-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია						
2021 წლის 31 დეკემბერი	<u>894,168</u>	<u>4,477,286</u>	<u>19,786,279</u>	<u>519,381</u>	<u>449,898</u>	<u>26,127,012</u>

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

2020 წლის 1 იანვარი	<u>846,607</u>	<u>315,897</u>	<u>16,706,082</u>	<u>485,939</u>	<u>374,913</u>	<u>18,729,438</u>
ცვეთის ხარჯი	23,449	303,154	1,455,627	98,485	53,540	<u>1,934,256</u>
გასვლა		-9,120		-67,314		<u>-76,434</u>
გაუფასურება						-
2020 წლის 31 დეკემბერი	<u>870,056</u>	<u>609,931</u>	<u>18,161,709</u>	<u>517,110</u>	<u>428,453</u>	<u>20,587,260</u>
ცვეთის ხარჯი		522,642	724,078	33,570	21,444	<u>1,301,735</u>
გასვლა				-31,300		<u>-31,300</u>
გაუფასურება						
2021 წლის 31 დეკემბერი	<u>870,056</u>	<u>1,132,573</u>	<u>18,885,787</u>	<u>519,381</u>	<u>449,897</u>	<u>21,857,694</u>

საბალანსო ღირებულება

2020 წლის ბოლოს	0	310,379	60,312	33,571	21,444	425,706
2021 წლის ბოლოს	24,112	3,344,713	900,492	0	0	4,269,317

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები (ლარი)

	31/12/2021	31/12/2020
ნედლეული	752,489	1,151,020
მზა პროდუქცია	1,398,570	1,963,146
საქონელი გზაში	75,459	3,619
სათადარიგო მასალები	189,447	1,056,992
სხვა მარაგები	2,976	1,651
მოძველებული მარაგების რეზერვი	(342,660)	(212,350)
სულ მარაგები	2,076,281	3,964,078

მოძრაობა მარაგების რეზერვში:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	(212,350)	(212,350)
დამატება წლის განმავლობაში	(130,310)	
წინა პერიოდის რეზერვის აღდგენა		
ნაშთი წლის ბოლოს	(342,660)	(212,350)

6. სავაჭრო მოთხოვნები (ლარი)

	31/12/2021	31/12/2020
დაკავშირებულ მხარეებთან	18,487	73,748
მესამე პირებთან	25,507	37,660
ჯამი	43,994	111,409

7. ფული და ფულის ექვივალენტები (ლარი)

	31/12/2021	31/12/2020
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,090,960	1,499,994

8. კაპიტალი

2017 წელს, დამფუძნებელი კომპანიის “სიქა ეს.ეი” დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2 132 742 ლარიდან გაიზარდა 26 037 182 ლარით და შეადგინა 28 169 924 ლარი.

განხორციელდა შპს სიქა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია-ს დამფუძნებლის და შვეიცარიის კონფედერაციაში რეგისტრირებული ჯგუფის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სხვა კომპანიების მიმართ არსებული სასესხო და სავაჭრო ვალდებულებების გაქვითვა კაპიტალის გაზრდით გზით.

9. სავაჭრო ვალდებულებები (ლარი)

	31/12/2021	31/12/2020
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	12,704,973	14,120,494
სავაჭრო ვალდებულებები მესამე პირებთან	300,913	
	13,005,886	14,120,494

10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (ლარი)

	31/12/2021	31/12/2020
მიღებული ავანსები	106,041	170,934
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	24,484	103,220
	130,525	274,154

11. ამონაგები (ლარი)

	2021	2020
მატერიალური მარკების რეალიზაციიდან	12,137,098	10,810,211
ელექტრონული მარკირების მომსახურებიდან	1,458,927	1,321,344
	13,596,025	12,131,555

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (ლარი)

	2021	2020
პერსონალის ხარჯი	(2,052,569)	(2,025,819)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(12,228)	(16,036)
საკონსულტაციო ხარჯი	(13,287)	-
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(76,364)	(41,646)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(46,532)	(33,929)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(303,811)	(187,236)
იჯარის ხარჯი	(48,537)	(56,621)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,301,735)	(1,934,256)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(666,763)	(524,976)
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი (როიალტი)	(1,123,032)	(854,186)
სულ ხარჯები	(5,644,858)	(5,674,705)

13. ფინანსური ხარჯი (ლარში)

	2021	2020
საიჯარო აქტივების საპროცენტო ხარჯი	(115,210)	(21,267)
ჯამი	(115,210)	(21,267)

14. საიჯარო აქტივებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები (ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საიჯარო აქტივებთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა	135,057	21,208
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების ძირი თანხის გადახდა	331,192	423,915

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ, რაიმე ისეთ მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.